პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

____ თებერვალი, 2020 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილების მე-7 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1.

პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების სასყიდლით გადაცემისას, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური დადგინდეს პარკირების საერთო ადგილებისათვის განსაზღვრული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთისათვის და განისაზღვროს წლიური 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასურის დადგენის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 იანვრის №6 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 09/02/2012, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.132.016096).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასურის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემას და მასთან დაკავშირებულ ტარიფებს ადგენდა, „ადგილობრივი თითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონი და თვითმმართველი ქალაქის ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 იანვრის №6 დადგენილება „ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლებით გადაცემის ნორმატიულ საფასურის დადგენის შესახებ".

როგორც მოგეხსენებათ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ქუჩები და საზოგადოებრივი სივრცეები გადატვირთულია ავტომფლობელთა მოძრავი საშუალებებით, იშვიათი გამონაკლისის გარდა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და ადგილებში შეუძლებელი ხდება ავტომობილების პარკირება. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ტურისტული სეზონი დაწყების შემდეგ და ისედაც გადატვირთული ქალაქშიკიდევ უფრო იკვეთება ავტომობილების პარკირების სირთულეები და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების სასყიდლით გადაცემისას ხელმძღვანელობდა ზემოთ აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, თუმცა მიაჩნია, რომ არსებული რეგულაცია შესაცვლელია და 1 კვ, მეტრი მიწის ნაკვეთის ღირებულება მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს, რაც აამაღლებს დაინტერესებული მხარეების პასუხიმგებლობასა და პარკირების ორგანიზების მსურველთა რაოდენობის შემცირებას, რაც ხელშემწყობი ფაქტორი იქნება იმისა, რომ უფრო მეტად გამოთავისუფლდეს საპარკინგე ადგილები და ავტომფლობელებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ექმნებათ მეტი საშუალება და შესაძლებლობა შეუზღუდავდ გამოიყენონ თავისუფალი ავტოსადგომები. ამდენად, საეთო პარკირების ადგილის სასყიდლით (გაზრდილი ფასით) გადაცემა, იქნება, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება აღნიშნული საკითხის დარეგულირების საქმეში.

ა.ა) პროექტის მიზეზი და მიზანი

პროექტის მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორაიზე საპარკინგე სივრცეების გამოთავისუფლება, მეტი საპარკინგე ადგილის გაჩენა, საგზაო მოძრაობის განმუხტვა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების გამარტივება.

ბ) პროექტის ფინანსური მხარე

ბიუჯეტში დამატებითი თანხების აკუმულირება.

გ) პროექტის შესაბამისობა იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ე) პროექტის ავტორი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ვ) პროექტის ინიციატორი

ქალაქ ბათუმის მუნციიპალიტეტის მერი

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე